

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

**მუხლი 1**

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დიფერენცირებულია ტერიტორიის ზონირების საფუძველზე (დანართი#2).
2. მიწის ნორმატიული ფასი 1კვ.მ მიწის ფართობისათვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CN=IMG \times ITL \times C \times K \text{ სადაც:}$$

- ა) CN – არის I მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი
- ბ) IMG - არის ოზურგეთის მაკრომდებარეობის ინდექსი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.52 ლარს.
- გ) ITL - არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი;
- გ.ა) ქალაქის ცენტრალურ ზონაში-1.2;
- გ.ბ) ქალაქი შუალედურ ზონაში-1.0;
- გ.გ) ქალაქის პერიფერიულ ზონაში-0.7;
- დ) C- არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1მ<sup>2</sup>-ზე დადგენილი წლიური გადასახადის საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;
- ე) K- არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის;
- ე.ა) ქალაქის ცენტრალურ ზონაში 50-ს.
- ე.ბ) ქალაქის შუალედური ზონისათვის 30-ს.
- ე.გ) ქალაქის პერიფერიული ზონისთვის 25-ს.

**მუხლი 2**

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს შემდეგი სახით:

#	ზონა	IMG	ITL	C	K	CN (ლარი)
1	ქალაქის ცენტრალური	0.52	1.2	0.24	50	7.4880
2	ქალაქის შუალედური	0.52	1.0	0.24	30	3.744
3	ქალაქის პერიფერიული	0.52	0.7	0.24	25	2.1840